ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5019286

ნომერი: AR1759775

თარიღი : 09.07.2020

გაცემის თარიღი : 10.07.2020

გაცნობის თარიღი : 10.07.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფშიძე , N 3ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა ცინცაძე პ/ნ 01001001894
- თბილისი გლდანი II მ/რ კორ. 42 ბ. 70

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

1. ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი :
„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე-18 მუხლის, მე-10 პუნქტის თანახმად განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%–ს.
აღნიშნულის გათვალისწინებით მოინიშნოს ფოოტომონტაჟზე ფასადის გაბარიტული ზომები და წარმოდგენილ იქნეს განახლებული ფოტომონტაჟი.
ასევე, გაითვალისწინეთ რომ მეტად დახვეწილი დიზაინის და გაბარიტებში შემცირებული აბრის ფოტომონტაჟი წარმოადგინოთ.
2. ,,განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე“ ველში - საკადასტრო კოდში მიეთითოს ფართის ამონაწერის საკადასტრო კოდი წილობრივი მონაცემებით. რისთვისაც ამავე განცხადებაზე გეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლოთ რუკის ცვლილების ღილაკით, ან წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ფართის ამონაწერი.

3. წარმოდგენილ იქნეს საკადასტრო გეგმა საპროექტო არეალის მონიშვნით. ამჟამად წარმოდგენილ გეგმაზე მოიშნულია რამოდენიმე არეალი, ხოლო ფოტომონტაჟი წარმოდგენილია ერთი აბრის.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.